

ქართული სახალხო თეატრი ანუ ავჯალის აუდიტორია

(დაარსების 70 წლისთავის გამო)



ახალბო თეატრების ისტორია გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. პირველი სახალხო თეატრი შეიქმნა ოდესაში 1871 წელს. მომდევნო წელს ასეთი თეატრი უკვე მოსკოვშიაც არსებობდა. 1895-96 წლებში სახალხო თეატრების წარმოდგენები რუსეთში მოაწვალ ადგილას იმპერატორს.

თვითმპყრობელობის მოხელეებს მშრომელთა ეს კულტურის კერები მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყავდათ; სახალხო თეატრისათვის დადგენილი იყო მხოლოდ განსაზღვრული რეპერტუარი, რომელშიაც არ შედიოდა პიესები სოციალურ თემაზე.

მაგრამ ყველა ეს შემზოკავი ზომები ამოიღო. სახალხო თეატრებმა გადალახეს კულტურტრეგერობის ჩარჩოება და მშრომელი მასების გათვითცნობიერებისა და კლასობრივი თვითშეგნების ზრდის მნიშვნელოვან სამუშაოდ იქცნენ.

ეს ის დრო იყო, როცა ყოფილი არწრუნისეულ, შემდეგ ქართულ სათავადაზნაურო ქარვასლანში, სისტემატურად იმპერატორს ქართული წარმოდგენები, მაგრამ დაბალი ხალხიდან თუ ვინმე დადიოდა თეატრში, ეს ქარვასლის ნოქრები და მე-თვეზე-ბაყლები იყვნენ. ქალაქის განაპირა უბნების მუშა-ხელოსნების გასართობი, სულიერი საზრდოს მიმცემი კი სამიჯიტნო-ტრაქტორები იყო. სამკითხველო, თეატრი, კლუბი და სხვა ასეთი, მათ არ მოეპოვებოდათ. ამიტომ მოწინავე ინტელიგენციამ განიზრახა საკუთარი თეატრის შექმნა.

თბილისში მუშა-ხელოსანთა წარმოდგენები ჯერ კიდევ 80-იან წლებში იმართებოდა. ამგვარი წარმოდგენა გაიმართა, მაგალითად, 1885 წლის 14 იანვარს, ჩელორეთში, მექურჭლოთა (ამჟამად მსოფთიის) ქუჩაზე, მაკა თიბის სახლში. ახალგაზრდა სცენისმოყვარე მუშებმა სახალხო თეატრის საქმეს უკვე ლეგარული სახე მისცეს.

1893 წლის სექტემბრის წყნარ საღამოს, ავჯალის ქუჩის მიდამოებში არაჩვეულებრივი გამოცოცხლება სუფევდა. ხელოსნები, ქარგლები, მუშები, ახელოსნოს სასწავლებლის შეგირდები მიიჩქაროდნენ ქალაქის თვითმმართველობის მიერ „საჩიოდ“ წოდებული შენობისაკენ, სადაც „სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა“ ღამდა პირველი წარმოდგენას, აქვსენტი ცაგარელის კომედიას „რაკ გინახავს, ველარ ნახავს“. მიიჩქაროდნენ, რათა მოწმენი გამხდარიყვნენ საქართველოში პირველი სახალხო თეატრის დაარსებისა, რომელიც მშრომელი ხალხის ბნელეთიდან ამოყვანას, მისი გათვითცნობიერებისა და სულიერი ამაღლების პირველი ნაბიჯი უნდა გამხდარიყო. ექიმ ნ. ხუდადოვის დახმარებით სახალხო თეატრის შემქმნელებმა „საჩიოს“ კარი შეადგეს. ი. იმედაშვილმა შეადგინა წესდება, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ ყველა სცენის მოყვარემ უკეთ უნდა შეიგნოს თავისი როლი და შესაფერად შესარულოს, უნდა გაიცნოს მშობლიურ მწერლობას, შეისწავლოს ჩვენი წარუდი, დაუკვირდეს ცხოვრების ყოველ მოვლენას, სხვადასხვა ხნოვანებისა და ხასიათის ადამიანთა ზნე-ჩვეულებას, ლაბარაკს, სიცილს, მიხერა-მოხერასა და სხვ. ამ მუშაობის შედეგად დახმარება მოითხოვოთ ჩვენს მოწინავე მოღვაწეთ და მწერალთ“. წესდების ეს მუხლი ნათლად მოწმობს, თუ რა სერიოზულად ეპყრობოდნენ თავიანთ საქმეს.

ამრიგად, ახალ თეატრს გარკვეული სოციალური მიმართულება ახასიათებდა. ეს იყო თეატრი, რომელიც მხარდამხარ უნდა მიჰყოლოდა მუშათა კლასის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

წარმოდგენებისათვის გამოყოფილ ბინას ეწოდა ავჯალის აუდიტორია. ამხანაგობამ ამ შენობაში თავისი საკუთარი შრომით და ხარჯით მოაწყო სცენა და ღარაზი. პირველი წარმოდგენა „რაკ გინახავს, ველარ ნახავს“, რომელიც 1983 წლის 23 სექტემბრის (ძვ. სტ.) გაიმართა, უფასო იყო, ხოლო მეორე წარმოდგენაზე ბილეთი 5 კაპ. ღირდა; ისიც ნისიად ურიგდებოდა მოშებს ჯამაგირის მიღებაში.

ქართველმა ინტელიგენციამ ყურადღება მიაქცია ამ შესანიშნავ თეატრალურ წამოწყებას. კერძოდ, სოფრომ მგალობლოშვილმა, გიორგი ლაქსიშვილმა, თედო სახოიამ, ნიკო ავალოშვილმა, ნინო ნაკაშიძემ, იროდიონ ევდოშვილმა და სხვ. გიორგი